# განმარტებითი ბარათი
# კანონპროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატების შეტანის შესახებ“

## ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

*ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:*

კანონპროექტის მიღების მიზეზია „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა.

*ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:*

კანონპროექტის მიზანია „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფა, საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის სრულყოფა, მისი კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის (დანაშაულის მომზადება) მოქმედი რედაქციის მიხედვით. კრიმინალიზებულია მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება. კანონის პროექტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წესდება „კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით[1] გათვალისწინებული მომეტებული კორუფციული საშიშროების შემცველი კონკრეტული ნაკლებად მძიმე დანაშაულების, კერძოდ – მითვისების ან გაფლანგვის (182-1), წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ან გასაღების (186-1-2), კომერციული მოსყიდვის (221-1-2-3), სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (332-1-2), ქრთამის მიცემის (339-1), ზეგავლენით ვაჭრობის (339[1]-1-2), სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით მუქარის ან ძალადობის (365-1-2-3), მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე ზემოქმედების განხორციელების (მუხლი 372-1) მომზადებისათვის.

---

[1] იხ. „კორუფციის წინააღმდეგ“ კონვენციის მე-15, მე-17, მე-18, მე-19, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლები.

„კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის 26-ე მუხლის შესაბამისად, კანონის პროექტი ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლს ემატება საამისოდ აუცილებელი შენიშვნა. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

„კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის გამოყენების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დაზუსტებულია შემადგენლობის დეფინიცია. კანონის პროექტი იყენებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა) და 181-ე (გამოძალვა) მუხლების დეფინიციების ტერმინოლოგიას და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის (მითვისება ან გაფლანგვა) უშუალო ობიექტად, განსაზღვრავს ნივთს ან ქონებრივ უფლებას.

„კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონის პროექტი ახალი რედაქციით აყალიბებს სამოხელეო დანაშაულის სუბიექტთა დეფინიციას.(332-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილი). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავის სუბიექტებად, სხვებთან ერთად, ჩაითვლებიან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლები, საჯარო სამართლის იურიდული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, არბიტრაჟის წევრები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

კანონის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის მოქმედების გავრცელებას მთლიანად სამოხელეო დანაშაულის თავზე, რაც გაზრდის სამოხელეო დანაშაულის კონკრეტული ნორმების გამოყენების ეფექტურობის ხარისხს. ამასთან, სამოხელეო დანაშაულის სუბიექტებად ასევე ჩაითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის.

შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 338-ე მუხლების შენიშვნები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის (დანაშაულის დაფარვა) მოქმედი რედაქციის მიხედვით. კრიმინალიზებულია მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა. კანონის პროექტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წესდება „კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით[2] გათვალისწინებული მომეტებული კორუფციული საშიშროების შემცველი

[2] იხ. „კორუფციის წინააღმდეგ" კონვენციის მე-15, მე-17, მე-18, მე-19, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლები.

კონკრეტული ნაკლებად მძიმე დანაშაულების, კერძოდ – მითვისების ან გაფლანგვის (182-1), წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ან გასაღების (186-1-2), კომერციული მოსყიდვის (221-1-2-3), სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (332-1-2), ქრთამის მიცემის (339-1), ზეგავლენით ვაჭრობის ($339^1$-1-2), სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით მუქარის ან ძალადობის (365-1-2-3), მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე ზემოქმედების განხორციელების (მუხლი 372-1) დაფარვისთვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

*ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*
კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსებასთან.

*ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*
კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

*ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*
კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

*ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*
კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების მიღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*
კანონპროქტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*
კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*

კანონპროექტი შესაბამისობაშია საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

კანონპროექტზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ გამოქმული ცალკეული მოსაზრებები „კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან დაკავშირებით[3].

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

ასეთი არ არსებობს.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი*

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი*

საქართველოს პრეზიდენტი

---

[3] ამერიკის იურისტთა ასოციაცია. ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღნდეგ" და საქართველოს კანონდმდებლობა, 2006 წელი. ოქტომბერი.